საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1358

2025 წლის 2 მაისი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს 2025 წლის 1 მაისის N-MES 2 25 0000468877 კორესპონდენციის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეების საჯარო სკოლის მასწავლებლის - მარინე ქათამაძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად, ოჯახის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 3 000 (სამი ათასი) ლარი და მატერიალური დახმარების სახით გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) მოახდინოს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრომ (მ. ხაჯიშვილი) უზრუნველყოს ბრძანებით გამოყოფილი თანხის მიზნობრივი განკარგვა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სულხან თამაზაშვილი

5242-02-2-202505051825
https://edocument.ge/AdjaraGov/public